ორი მატჩი ლესელიძეში

ლესელიძის საფეხბურთო მინდორზე 28 თებერვალს გაიმართა ორი საკონტროლო მატჩი.

... შემდეგ შედგა საკონტროლო მატჩი თბილისის "დინამოსა" და იაროსლავის "შინიკს" შორის. დინამოელები მე-20 წუთზე დაწინაურდნენ გ. ნოდიას მიერ გატანილი გოლით, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ "შინიკმა" შეძლო საპასუხო ბურთის გატანა - 1:1.

ტაიმის დასასრულს იაროსლაველთა საჯარიმო მოედანზე შექმნილ კრიტიკულ მომენტში არაზუსტად ითამაშა ერთერთმა მცველმა და საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი - 2:1.

მეორე ტაიმში ინიციატივას თბილისელები ფლობდნენ. ერთერთ კომბინაციას გ. ნოდიას, ყიფიანსა და მჭედლიშვილს შორის მოჰყვა ამ უკანასკნელის მიერ გატანილი გოლი. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა თბილისის "დინამომ". გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გოგია, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოდია, წერეთელი.

"ლელო', 2.03.1974